საქმე №330310121005247636
საქმე №3/7396-21

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

სარჩელის წარმოებაში მიღების,
დასაშვებად ცნობის, საქმის განხილვის ვადის გაგრძელების და
მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ

10 თებერვალი,2022 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ციცინო როხვაძე

მოსარჩელეები - ააიპ მწვანე ალტერნატივა, თენგიზ ჯგუშია

მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2021 წლის 26 ნოემბერს, ააიპ მწვანე ალტერნატივამ და თენგიზ ჯგუშიამ სარჩელით მომართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 01 ოქტომბრის ბრძანება N2-1409 ,,ქ.ზუგდიდში, კოლხეთი ცემენტის“ ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელე მხარეს სარჩელზე დაუდგინდა ხარვეზი. კერძოდ, მოსარჩელეს დაევალა წარმოედგინა სარჩელზე თანდართული მტკიცებულებები მატერიალური სახით.

2022 წლის 07 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ხარვეზის შევსების შესახებ

განცხადებით მომართა მოსარჩელე მხარემ და წარმოადგინა სასამართლო განჩინების საფუძველზე დავალებული დოკუმენტაცია.

ააიპ მწვანე ალტერნატივას და თენგიზ ჯგუშიას სარჩელი საქმის განმხილველ მოსამართლეს გადაეცა 2022 წლის 08 თებერვალს.

წარმოდგენილი სასარჩელო განცხადების განხილვის შედეგად სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-178-ე და 445-ე მუხლების მოთხოვნებს და შესაბამისად, მიღებულ უნდა იქნეს წარმოებაში. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26^2-ე და 22-25-ე მუხლების თანახმად, სარჩელი წარმოებაში მიღების ეტაპზე ცნობილ უნდა იქნეს დასაშვებად.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების გათვალისწინებით, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან დამატებითი მტკიცებულებების სახით გამოთხოვილ უნდა იქნეს ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს უფლება აქვთ ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემოწმებამდე წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები მათ თაობაზე.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არასაპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო მტკიცებულებათა წარდგენა, სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს 200 ლარით, რაც არ ათავისუფლებს მას მტკიცებულებათა შემდგომში წარდგენის ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართოს წარდგინებით სასამართლოში მტკიცებულებათა წარუდგენლობის მიზეზების დადგენისა და შესაბამისი თანამდებობის

პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების თაობაზე.

ამავე კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან დამატებითი მტკიცებულებების სახით გამოთხოვილი უნდა იქნეს მინისტრის 2021 წლის 01 ოქტომბრის ბრძანება N2-1409 ბრძანების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის განხილვის ვადა უნდა გაგრძელდეს 5 (ხუთ) თვემდე.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 177-ე, 178-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე, 445-ე, 446-ე, 447-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელი მოპასუხის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე მიღებულ იქნეს სასამართლო წარმოებაში;

2. მოპასუხე მხარეს დაევალოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შესაგებლისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების წარმოდგენა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში;

3. №3/7396-21 ადმინისტრაციული საქმის განხილვის ვადა გაგრძელდეს 5 (ხუთ) თვემდე;

4. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე **ციცინო როხვაძე**